ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4054565

ნომერი: AR1608132

თარიღი : 12.06.2018

გაცემის თარიღი : 06.07.2018

გაცნობის თარიღი : 06.07.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 96;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ წერეთელი პ/ნ 01005026661
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 73ა ბ. 18

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "TIMELESS"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406086621
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: არსენ მნატსაკანიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: AK0647323

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვალერიან ბერაია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 12 ივნისის AR1608132 განცხადება.პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა :

- საკადასტრო გეგმაზე მონიშნოთ საპროექტო არეალი;
- კალენდარული გეგმა-გრაფიკი წაროადგინოთ სპეციალისტის მიერ შესაბამისად დამოწმებული;
- რადგან თქვენს მიერ განსახორციელებელი საპროექტო სამუშაოები ეხება AR1457183 განაცხადით შეთანხმებულ ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების რეკონსტრუქციას და არ ფიქსირდება ძეგლზე მოსაკრებლის გადასახადი საჭიროა გადაიხადოთ ძეგლზე აღნშნული გადასახადი;

„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“: საქართველოს კანონის მიხედვით, მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები და ამხანაგობები იხდიან სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, სალიცენზიო/სანებართვო მოსაკრებლის გადამხდელები არიან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საქმიანობებზე ლიცენზიის/ნებართვის მაძიებლები. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მოსაკრებელი შეადგენს 50 ლარს.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში AR1608132 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.